



**„ორბი ჯგუფის“ პროექტმა ესოფლიო აღიარება მოიპოვა**

იხილეთ მე-4 გვერდზე

შოთა მურღულია:

**გოლო პერიოდში ქუთაისის პარკოვრტის მიერ გატარებული მგზავრების რაოდენობა 20%-ით გაიზარდა**

იხილეთ მე-3 გვერდზე

**ქართულ ოლიმპიადას რაზმულა საზოგადოებრივი წინიშის მსხვერპლი გახდა**

ოლიმპიელთა გასამხნეებლად პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ მათი ტანისამოსი მოირგეს

5-დან 21 აგვისტომდე ბრაზილიის მხურვალე ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ზაფხულის XXXI ოლიმპიური თამაშები გაიმართება, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან ერთად, საქართველოც მონაწილეობს. ამჯერად ოლიმპიადაში 39 ქართველი სპორტსმენი იასპარეზებს და შეეც-

დება მედლების მოპოვებას. თუმცა, მანამდე, სპეციალურად მათთვის, ოლიმპიადის გახსნისთვის შეკერილმა ტანისამოსმა საზოგადოების დიდი აურზაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია სოციალურ ქსელში. უმრავლესობის აზრით, ტანისამოსი, რომელიც ოლიმპიური კომიტეტის

დაკვეთით „სამოსელი პირველი“-მ შეკერა, ზაფხულის ოლიმპიადისთვის აბსოლუტურად შეუფერებელი, არასპორტული და მოუხერხებელია. თავად „სამოსელი პირველის“ წარმომადგენლებმა კი კრიტიკის საპასუხოდ განაცხადეს: "ეს სამოსი მოსახშირი წარმოადგენს საქართველოში

გვიან შუასაუკუნეებში გავრცელებულ ქალის შესამოსელს. მისი სახელია „ელეგი“. იგი უმეტესად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. „ელეგი“ იკერებოდა მაუდისაგან, აბრეშუმისაგან ან ხავერდისაგან. ნაქარგი ორნამენტებით სამოსის კიდებზე და სახელოებზე. მუზეუმის საცავებში

არაერთი საინტერესო ნიმუშია დაცული". მათივე განმარტებით ჩონაზე უარი ითქვა, ვინაიდან ჩათვალეს, რომ არსებული ტანისამოსი შედარებით კომფორტული იქნებოდა. გაგრძელება მე-2 გვერდზე

**რა მოსწონთ და რა – არა ტურისტებს ქუთაისში**

„ხალხი არის გასაოცარი, მაგრამ.. საშინელი მძღოლები, მარშუტით მგზავრობა საშიშია“ – შეშინებული სახე მიიღო ამერიკელმა წყვილმა, რომელიც ყველაფრით აღფრთოვანებულნი იყო ქუთაისში სტუმრობით, გარდა საავტომობილო მოძრაობისა. – „მაგრამ ჩვენ ისევ ჩამოვალთ, მოგვეწონა ქუთაისი“.

ქალაქსა და მის შემოგარენში ტურისტს შესაძლებლობა აქვს, მონახულოს ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი, მოწამეთას მონასტერი, მარტვილის კანიონი, ოკაცის კანიონი, სათაფლია, პრომეთეს მღვიმე... ტურისტებს განსაკუთრებულად მოსწონთ ქუთაისში იმერეთის მეფეთა რეზიდენცია „ოქროს ჩარდახი“ და კოლხური შადრევანი.

თითქმის ყველამ, ვისაც ჩვენ გავესაუბრეთ, აღნიშნეს, რომ ყველაზე მეტად მოეწონათ ქალაქის მკვიდრნი. მათი თქმით, ადგილობრივები არიან ძალიან სტუმართმოყვარენი და არაერთხელ მიუღიათ მათგან დახმარება, ასევე მათზე გავლენა მოახდინა ქალაქის უძველესმა ღირსშესანიშნაობებმა, ამიტომაც არ გამოირიცხავენ, რომ მომავალშიც ეს ტურმრებიან ქუთაისის. ტურისტების ზრდა არ გამოპარვია ადგილობრივ მოსახლეობასაც, და ისინი მისალმებიან ამ ფაქტს.

მიუხედავად ინფრასტრუქტურული პრობლემებისა, ქუთაისი ტურისტთა ნაკლებობას არ უჩივის. მერიის ტურიზმის სამსახურის უფროსის, პაატა კლდიაშვილის თქმით, წელს ტურისტთა რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 35%-ით არის გაზარდილი. მისივე თქმით, ზრდა გამოწვეულია ქალაქის მერიის



„ქაფოტო“ (მედი კაპაბაძე) ©

მიერ განხორციელებული არაერთი ღონისძიებით, რომელმაც ქუთაისი კიდევ უფრო ცნობილი გახადა. ტურისტთა ზრდას ასევე აღნიშნავენ

ქალაქის ტურისტულ სააგენტოებსა და სასტუმროებს. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორ-

ტის ცნობით, ტურისტთა გაზრდილმა რაოდენობამ გამოიწვია რეისების დამატების აუცილებლობა. ქუთაისის ძირითადად სტუმრობენ უნგრეთიდან,

უკრაინიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, როგორც ბიზნეს შეხვედრების, ასევე - ოჯახური დასვენებისთვის. გაგრძელება მე-2 გვერდზე

**Silk TV** აპლიკაცია მხოფლიოს ნებისმიერ ნერტილში ყველაზეთვის!

- უპირატესი ტელევიზიის თქვენთვის სასურველ მოწყობილობაზე
- ინარჩუნებთ ინტერაქტიული ფუნქციონალით!
- გადმოწერა, დაკავება, ბრუნვის რჩეულებში დამატება...

www.silkTV.ge

ANDROID APP ON Google play Available on the App Store

**Sylk TV**

**კომპიუტერში, სმარტფონში და ტაბლეტზე**

**ბინები ღვინვაობისთვის**

ქუთაისში ღვინვითა ოჯახებისთვის 20 თექვსმეტსართულიანი კორპუსის მშენებლობა იგეგმება

იხილეთ მე-2 გვერდზე

**PS news.ge**

ISSN 1987-7056

9 771987 705004

# ქართველ ოლიგოქონთა ჩახეხვა საზოგადოებრივი სინიზმის მსხვერპლი გახდა

## ოლიგოქონთა გასამხნეველად პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ მათი ტანისამოსი მოირგეს



პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი თეატრის მხატვრისა და დიზაინერის აზრით კი, ეს ტანისამოსი არ გამოხატავს არანირ იდენტობას და ქართულის ნაცვლად, სლავურს უფრო ჰგავს. საზოგადოების უკმაყოფილო ნაწილი მიიჩნევს, რომ ოლიგოქონთა კომიტეტმა არ გაითვალისწინა ცნობილი და გამოცდილი დიზაინერების რჩევები. ისინი ასევე თვლიან, რომ მსგავსი შეჯიბრებებში ტანსაცმელი უნდა იყოს ქვეყნის კულტურის ამსახველი, არსებული ფორმა კი არ შეესაბამებოდა ქართულ ეროვნულ ტანისამოსს. უკმაყოფილება გადიხარდა ონლაინ პეტიციაში რომლის ავტორებიც ხმის მიცემის საშუალებით ითხოვენ ფორმის შეცვლას.

სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის განცხადებით, მომავალში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ საკითხს და შეინი-

ვნები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ ოლიგოქონები უშუალოდ არ ყოფილან კრიტიკის ობიექტი, ამ ფაქტმა მათ განწყობაზე გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა. სწორედ ამიტომ, მონაწილეთა მხარდასაჭერად და გასამხნეველად საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პირველი ლედი მკა ჩიჩუა ოლიგოქონთა ტანსაცმლით შეიმოსნენ და საჯარო ფოტოც გადაიღეს.

„ამ სამოსს მხოლოდ ოქრო თუ დამამყვანებს“ - თქვა ჩვენმა კოლეგამ, ლელა თოლორაძემ სოციალურ ქსელში და საზოგადოებამაც ყველაზე მეტად სწორედ ეს სტატუსი მოიწონა, რადგანაც ამ ვენბათა-ელვის ჩაცმობა ახლა მხოლოდ ქართველ ოლიგოქონთა მოპოვებულ გამარჯვებებსა და ოქრო-ვერცხლენზე დამოკიდებული...

მედი კაპაბაძე

# კა მოსონთ და კა - არა ტურისტებს ქუთაისში

პირველი გვერდიდან

მერია ტურისტების ზრდას მათ მიერ ვატარებულ ღონისძიებებსაც უკავშირებს; ქუთაისში ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომლის საშუალებითაც ტურისტს შესაძლებლობა აქვს, გაეცნოს ქალაქის კულტურას, ღირსშესანიშნაობებს, საზიარეულოს, გადაადგილების საშუალებებს... ქალაქის ცენტრში ახლახანს დაიდა ენერჯო-ეფექტური სისტემა „მზის გვირილა“ - თავმოყრილია USB დასამუხტი წერტილები, მოსასვენებელი

სკამები, მზის ენერჯიაზე მომუშავე სანათი წერტილები. სექტემბერში კი იგეგმება უფასო Wi-Fi ის დამონტაჟება ქალაქის უბნებში, სკვერში - ელბილიოთიეის განთავსება და ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება QR კოდების მეშვეობით, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში დადგმულია გზამკვლევი აბრები.

ქუთაისი მინერული სატახტო ქალაქი და მესხეთე ადგილს იკავებს უძველეს ქალაქთა შორის. ქალაქი გამოირჩევა ისტორიულ-გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობების სიმრავლით, რაც ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია

ტურისტების მოზიდვის. ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანი საშუალებაა იმისათვის, რომ ისტორია გასცდეს ქვეყნის ფარგლებს და გაეცნოს მსოფლიო.

ტურიზმის განვითარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის ინდიკატორიცაა, თუმცა ტურისტების მოსაზიად მართო ქვეყნისა თუ ქალაქის ისტორიული სიძველე საკმარისი არაა და აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის მეტი იზრუნოს ხელისუფლებამ.

მედი კაპაბაძე

**შპს შინო**  
**ინჟინერინგი**

აუდიტორული შპს საკონსალტინგო შპს „NSAUDI“  
0154 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №61  
Tsereteli ave. N61, Tbilisi, Georgia 0154

Auditing and Consulting Company „CONSAUDI“ Ltd

№ 13 1.07.2016.

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

**შპს შინო „ინჟინერინგი“-ს დამფუძნებლებს**

ჩვენგან შპს შინოსაფინანსო ორგანიზაცია „ინჟინერინგი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშების აუდიტი, რომელიც შედგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებული ბალანსისაგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამატებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშებისაგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებით ინფორმაციისაგან.

**ხელშეწყობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელშეწყობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშების მოწოდებისა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშების სურათობრივ სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშების მოწოდებისას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შედეგით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შინოს ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტის წარმართვით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეს სტანდარტები მოითხოვს, დავივით ვთქვით მოთხოვნები და იმეცნა დამფუძნებლებთან და ჩატარებულ აუდიტს, რომ მივიღოთ დასაბუთებული რჩევები იმის, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაძებნად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შედეგად დამოუკიდებელი აუდიტორის განცხადება, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შესახებ, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შედეგით. ამ რისკების შესახებ დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი საინჟინერო სტრუქტურის ფინანსური ანგარიშგების მოწოდებისა და სამართლიან წარდგენისათვის, რაა დავივით მოცემული კონკრეტული გარემოების შესახებ აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელშეწყობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესახებ.

**შპს შინოსაფინანსო ორგანიზაცია „ინჟინერინგი“**  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31.12.2015	31.12.2014
	თან	თან
<b>აქტივები</b>		
ფული სახსრები და ვაჭვალარტები	22,202	32,081
გადახდილი სესხები:		
- მართ	1,702,838	1,010,785
- დარიცხული პროცენტი	201,103	186,480
მორიდი საშუალებები	204,818	238,063
არამატერიალური აქტივები	1,836	2,046
სასაქონლო-მატერიალური მარგი	158	
სადავსამადო მოთხოვნები	826	11,102
გადახდილი სადავსამადო აქტივები	33,077	100,350
სხვა მოთხოვნები	54,094	17,821
<b>სულ აქტივები</b>	<b>2,220,354</b>	<b>1,588,737</b>
<b>ვალდებულებები</b>		
მოღწეული სესხები:		
- მართ	776,864	869,336
- დარიცხული პროცენტი	6,408	4,115
სადავსამადო ვალდებულებები	63,411	375
ვალდებულება ფინანსურ ორგანიზაციებთან	73,844	112,123
გადახდილი სადავსამადო ვალდებულებები	27,133	34,127
სხვა ვალდებულებები	760,813	223
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>1,708,273</b>	<b>1,020,300</b>
<b>კაპიტალი</b>		
საქვალე კაპიტალი	302,000	302,000
აუდიტორული მოგება/ზარალი	0	390,234
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	210,981	(123,796)
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>512,981</b>	<b>668,437</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>2,220,354</b>	<b>1,588,737</b>

დირექტორი: *ბ. ბერიძე*

მათხელდებელი: *ს. ბერიძე*

**შპს შინოსაფინანსო ორგანიზაცია „ინჟინერინგი“**  
წლიური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31.12.2015	31.12.2014
	თან	თან
<b>ვალდებულებები</b>		
ფული სახსრების წაკედი საინჟინერო საქმიანობის	2,311,833	1,847,807
საინჟინერო საქმიანობის მიღებული ფული სახსრები	21,202	36,136
სხვა შემოსულები	(1,511,452)	(1,383,494)
სესხების გაცემა	821,422	908,448
შესთავაზებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოწოდებული გადამხდელი ფული	(144,827)	(55,294)
პერსონალზე გაცემული ფული სახსრები	(137,888)	(127,716)
გადახდილი გადასახადები	(73,424)	(105,945)
<b>წმინდა ფული სახსრები საინჟინერო საქმიანობის</b>	<b>465,166</b>	<b>211,494</b>
<b>ვალდებულებები</b>		
ფინანსური სახსრების წაკედი საინჟინერო საქმიანობის	(4,288)	(1,235)
მორიდი სესხების და არამატერიალური მარგის მოსაზრების დანახალი	(37,836)	(42,840)
<b>წმინდა ფული სახსრები საინჟინერო საქმიანობის</b>	<b>(41,820)</b>	<b>(44,075)</b>
<b>ფული სახსრების წაკედი საინჟინერო საქმიანობის</b>	<b>3,215</b>	<b>861,094</b>
მოღწეული სესხები	(330,515)	(706,982)
სესხების გაცემა	(103,488)	(108,989)
კაპიტალი დონორები	6,190	1,236
სადავსამადო ვალდებულებების წაკედი	(8,547)	(2,758)
<b>წმინდა ფული სახსრები საინჟინერო საქმიანობის</b>	<b>(433,145)</b>	<b>(196,671)</b>
<b>ფული სახსრების წაკედი ზარალის</b>	<b>(9,879)</b>	<b>(29,160)</b>
<b>ფული სახსრების და ვაჭვალარტების წაკედი საინჟინერო საქმიანობის</b>	<b>32,081</b>	<b>81,241</b>
<b>ფული სახსრების და ვაჭვალარტების წაკედი საინჟინერო საქმიანობის</b>	<b>22,202</b>	<b>32,081</b>

დირექტორი: *ბ. ბერიძე*

მათხელდებელი: *ს. ბერიძე*

**მთავარი რედაქტორი:**  
ნატო გუბელაძე

**დირექტორი:** ირმა ბახტაძე-შვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**  
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „**პ.ს.**“ („პოსტსერვისი“).  
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთი „**პ.ს.**“ - ის კლასიფიკაციის კოდი:  
**UDC (უკ) 3+321 (479.22) (054) კ - 658 P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.  
• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.  
• psnews27@gmail.com  
• www.psnews.ge

**ბინები დევნილებისათვის**

ქუთაისში დევნილთა ოჯახებისთვის **20** თექვსმეტსართულიანი კორპუსის მშენებლობა იგეგმება, რომლითაც **2000** ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი საცხოვრებელი. ასევე წყალტუბოში, მოკლე დროში გამოცხადდება ტენდერი და აშენდება **8** ათსართულიანი კორპუსი, რომელშიც **500**-ზე მეტი ოჯახი შესახლებენ.

„დევნილებისთვის ბინების მშენებლობა მიმდინარეობს მთელს საქართველოში. **96** ბინა ახლად გარემონტებულ კორპუსში უკვე განაწილებულია და უახლოეს ორ კვირაში მოხდება მათი შესახლება, ხოლო წლის ბოლომდე **4** ახალი კორპუსი, კაში **400**-მდე ბინის მშენებლობა დასრულდება. ქუთაისში დაგეგმილია **20** თექვსმეტსართულიანი კორპუსის მშენებლობა, სადაც **2000** ოჯახს დაეკუთვნება. ასევე ძალიან მაღალ გამოცხადდება ტენდერი წყალტუბოში **8** ათსართულიანი კორპუსის მშენებლობაზე, სადაც **500**-ზე მეტი ოჯახი მიიღებს ბინას.“ — განაცხადა დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა.

# თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა...

ჩვენ ვართ ბატარა ქვეყანა, ცოტანი ვართ ისედაც; არ გვაქვს გათითოვანი უფლება, არ გვაქვს უფლება, პოლიტიკურ დაპირისპირებებს გადავადგინოთ, არ გვაქვს უფლება, პოლიტიკურ დაპირისპირებებს გადავადგინოთ, არ გვაქვს უფლება, პოლიტიკურ დაპირისპირებებს გადავადგინოთ...

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ოზურგეთში არჩილ თალაკვაძე, ხოლო ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ვაერთიანებულ საარჩევნო ოლქში თემურ ჭკუასელი წარმოადგენს. „არჩილ თალაკვაძე გუნდის ერთ-ერთი ახალი სახეა. ამჟამად იგი გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. არჩილი არის მოტივირებული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თავისი ნიჭით და განათლებით უკვე მიაღწია წარმატებებს. ის აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას ქართულ პოლიტიკაში და ოზურგეთელები მისით იამაყებენ. თემურ ჭკუასელი პარლამენტის წევრია. „ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი, უაღრესად პოზიტიური ადამიანი, მისთვის ამ რაიონის არცერთი პრობლემა უცხო არ არის, დარწმუნებული ვარ, ჩოხატაურელები და ლანჩხუთელები გამოუცხადებთ ნდობას და მხარს დაუჭერთ მის კანდიდატურას“ - განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

შეეცვალა, მოეხდინა მნიშვნელოვანი გარდატეხა. როგორც ყოველთვის, არც შემცდარხართ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ახლაც აუცილებლად ერთად ვავიძარცვებთ. „აღნიშნა პარტიის თავმჯდომარემ. პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოხვლინა ჩაის წარმოების განვითარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია და ვუბრუნთ გურისას. ავლორძინოთ ჩაის წარმოება. უკვე არსებობს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა - „ქართული ჩაი“, რისთვისაც სახელმწიფო თანხა უკვე გათვალისწინებულია ბიუჯეტში. ამ პროგრამით დაინტერესებული არიან როგორც ადგილობრივები, ისე უცხოელი მეწარმეები. რა თქმა უნდა, მეჩაიეობის აღორძინებას მოჰყვება დამატებითი სამუშაო ადგილები და შესაფერისი შემოსავალი ყველა ოჯახში. გარდა ამისა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა რეაბილიტაციის და ავსტრალიელთა ერთად კომპანია „წყალი მარგებელი“ ამენებს 30 მილიონი ევროს ღირებულების ქარხანას, რომელიც უკვე თითქმის დასრულებულია. „ნაბეღლავის“ და „ბახმარის“ გარდა საწარმოში სხვადასხვა უაღკოპოლო სასმელი ჩამოსხმება. ქარხანა ჩამოსხმას ასევე ცნობილ უცხოურ სასმელებს, რომლებიც ექსპორტზე გავა საზღვარგარეთ. ცხადია, ქარხნის ამუშავებას მოჰყვება ხალხის დასაქმება და კიდევ მეტი შემოსავალი“. აღნიშნა გიორგი კვიციანი. მთავრობის მეთაურმა „Black sea arena-ს“ განხილვისა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა. „შევეთილეთ უნიკალური საკონცერტო დარბაზი გაიხსნა, რომლის მშენებლობაც 200 მილიონზე მეტი დაჯდა. შევეთილეთ ასეთი დარბაზის აშენება ბიძინა ივანიშვილის



იდეა გახლდათ. გურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განახორციელა მართლაც ეს გრანდიოზული პროექტი. ეს პროექტი სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა, მაგრამ პირველი რიგში, ეს არის საჩუქარი გურისა და გურულებისათვის. ასეთი მასშტაბური ობიექტების არსებობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, მოიზიდავს ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს და, რაც მთავარია, გურია შექმნის ტურიზმით მიღებული შემოსავლით ისარგებლოს“ - განაცხადა პრემიერმა.

არ დაგვიტოვებია სახელმძღვანელო გარეშე. ჩვენ მაქსიმალურად დავეხმარეთ გლეხებს, ფერმერებს, მეწარმეებს. რამდენადაც შეგვეძლო დავუდექით ხალხს გვერდში. ჩვენ თანამიმდევრულად და მტკიცედ მივდივართ წინ. ყველაზე მთავარი კი ის არის, თქვენ იგრძნოთ უკეთესობა, ჩვენ გვინდა, რომ რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი გაჩნდეს და თითოეული თქვენგანის ოჯახში შემოვიდეს კეთილდღეობა“ - აღნიშნა პარტიის თავმჯდომარემ.

სწრაფი ნაბიჯები გადავდგათ, რათა ყველა ადამიანი იგრძნოს მეტი ცვლილებები, იგრძნოს მეტი შემოსავალი და იგრძნოს მეტი კეთილდღეობა ოჯახში. ამისთვის, ჩვენ გვაქვს მკაფიო გეგმა. გვაყვას კვალი-ფიციური და გამოცდილი გუნდი“ - განაცხადა პრემიერმა. გურის რეგიონში მკაფიო დეპუტატობის კანდიდატების გამარჯვებაში დარწმუნებულია პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძე. ვიცე პრემიერმა შეკრებულ მოსახლეობას მიმართა: „გურია იმედებისა და პერსპექტივების მხარეა. გურია 2012 წლის არჩევნებში გამარჯვების ავანგარდში იყო და თქვენი წილი დიდია თავისუფლების მოპოვებაში, ოქტომბერშიც ერთად ვივლით გამარჯვების გზას“ - აღნიშნა კახა კალაძემ. ვიცე-პრემიერმა სიტყვით გამოხვლინა ყურადღება გაამახვილა ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ რეფორმებზე. ასევე სოფლებში გაზაფხულებისა და ელექტრიფიკაციის პროგრამებზე. „ჩვენ შრომით შევქმნით საქართველოს მომავალს. მშრომელი კაცი არ უნდა დაინაგროს, გურის პატრონები თქვენ ხართ, გახადეთ ეს სახლი ძლიერი, მყარი და ბარაქიანი“ - განაცხადა კახა კალაძემ.

გიორგი კვიციანი აღნიშნა: „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. „4 წლის განმავლობაში ჩვენ მივაქციეთ ისეთი სფეროების ყურადღება, რაც იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ყოფნა არ ყოფნის საკითხებია ფაქტობრივად - ეს არის ჯანდაცვის სფერო, სოფლის მეურნეობა, განათლება, ინფრასტრუქტურა, ჩვენ პრაქტიკულად არ დაგვიტოვებია არც ერთი სოფელი უშუქოდ, არ დაგვიტოვებია მალაქითიანი სოფლები, სადაც არ დაგვიტოვებია ტრანსპორტი ბავშვების სკოლაში სატარებლად, არცერთი მოსწავლე

## შოთა მურდულია: ბოლო პერიოდში ქუთაისის აეროპორტის მიერ გატარებული ღონისძიებების რაოდენობა 20%-ით გაიზარდა

საინფორმაციო პორტალი topnews.com.ge-სთან ინტერვიუში, ქუთაისის მერმა შოთა მურდულიამ ქალაქის განვითარების მიმართულ ღონისძიებებზე ისაუბრა და ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ტურიზმის დარგის განვითარება დაასახელა: „ბოლო პერიოდში 20%-ით გაიზარდა იმ ღონისძიებების რაოდენობა, რომლებიც აეროპორტმა გაატარა“. ფაქტ-მეტრი აღნიშნული განცხადების სიზუსტით დაინტერესდა. ქუთაისის დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა 2011 წლის ნოემბერში დაიწყო და განახლებული სახით ექსპლუატაციაში 2012 წლის 27 სექტემბერს შევიდა. აეროპორტის მფლობელი შპს „საქართველოს აეროპორტების ვაერთიანება“ აღსანიშნავია, რომ ქუთაისის აეროპორტში აქცენტი დაბალბიუჯეტური ავია-

კომპანიების მოზიდვასა და სამგზავრო ბილეთების დაბალ ფასზე გაკეთდა. გახსნის დღიდან, აეროპორტი 3 331-ზე მეტ საპაერთო რეისს მოემსახურა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ქუთაისის აეროპორტის მიერ მიღებული მგზავრთა ნაკადი 2012-2014 წლებში ყოველწლიურად იზრდებოდა (ცხრილი 1). როგორც ცხრილშია ნაჩვენები, მგზავრთა ნაკადის ყველაზე მაღალი ზრდა 2013 წელს დაფიქსირდა. 2015 წელს კი ეს მაჩვენებელი შემცირდა. გაიზარდა თუ არა ბოლო პერიოდში მგზავრთა რაოდენობა, ამ კითხვაზე საპასუხოდ 2016 წლის ექვსი თვის მონაცემი გასული ორი წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს შევადარეთ (ცხრილი 2). მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე



შოთა მურდულია

წლის ორ კვარტალში მგზავრთა ნაკადი 22.4%-ით არის გაზრდილი, ის 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს მაინც

ვერ უტოვდება (მაშინ ქუთაისის აეროპორტმა 109 558 მგზავრი გაატარა). რაც შეეხება გასულ, 2015 წლის ორი

კვარტლის მონაცემს, მგზავრთა ნაკადი საგრძნობლად შემცირდა (-28%). ვინაიდან ქუთაისის მერი ქალაქში უცხოელი ტურისტების მოზარდობაზეც საუბრობდა, ჩვენ საერთაშორისო მოგზაურთა სტატისტიკაც გადავამოწმეთ. გარდა მგზავრთა საერთო რაოდენობის ზრდისა, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 2015 წლამდე მზარდი იყო საერთაშორისო მოგზაურთა ნაკადიც (საუბარია უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე). 2015 წელს კი, 28%-იანი კლება დაფიქსირდა (ცხრილი 3). როგორც მე-4 ცხრილშია ნაჩვენები, 2015 წლის იანვარ-ივნისში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 2014 წელთან შედარებით 39%-ით შემცირდა. თუმცა, 2016 წელს, ორ კვარტალში, მათი რიცხვი 26%-ით (13 260-ით) გაიზარდა.

**ცხრილი 1.** ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთა ნაკადის წლიური სტატისტიკა

წელი	რაოდენობა	პროცენტული ცვლილება
2010	7 557	
2011	4 489	-41%
2012	13 019	190 %
2013	184 246	1315 %
2014	213 839	16 %
2015	183 804	-14%

**ცხრილი 3:** საერთაშორისო მოგზაურთა წლიური ნაკადი ქუთაისის აეროპორტში

წელი	შემოსვლა	გასვლა	სულ	პროცენტული ცვლილება
2010	2 018	2453	4 471	
2011	1 504	2132	3 636	-19 %
2012	4 145	3964	8 109	123%
2013	68 568	66115	134 683	1561%
2014	83 665	82523	166 188	23%
2015	59 195	60341	119 536	-28%

**ცხრილი 2:** მგზავრთა ნაკადი 2014-2016 წლების I-II კვარტლებში

წელი	შემოსვლა	გასვლა	სულ	პროცენტული ცვლილება
2014	55 397	54 161	109 558	
2015	38 310	40 505	78 815	-28%
2016	46 196	50325	96 521	22.4%

**ცხრილი 4:** საერთაშორისო მოგზაურთა სტატისტიკა 2014-2016 წლების I-II კვარტლებში

წელი	შემოსვლა	გასვლა	სულ	პროცენტული ცვლილება
2014	43 766	41 029	84 795	
2015	26 734	25 353	52 087	-39 %
2016	33 277	32 120	65 347	26 %

**დასკვნა**  
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთა გადაყვანის წლიური სტატისტიკა და ასევე კონკრეტულად საერთაშორისო ვიზიტორების (შემოსული/გასული) რაოდენობრივი მაჩვენებლები ზოგადად მზარდია. თუმცა, ხაზგასასმელია ისიც, რომ 2015 წლის მონაცემები საგრძნობლად ჩამორჩა 2014 წლის მაჩვენებლებს. ასევე, 2016 წლის I-II კვარტალში დაფიქსირებულ მგზავრთა და საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს კვლავ ჩამოუვარდება. შესაბამისად, ფაქტ-მეტრის დასკვნით, შოთა მურდულიას განცხადება არის ნახევრად სიმართლე. ირმა ბახუტაშვილი factcheck.ge

# „ორბი ჯგუფის“ პროექტთა მსოფლიო აღიარება მოიპოვა

„ორბი თვინ თაუერსი“ - ორბი ჯგუფის ახალი გრანდიოზული პროექტია 4500 ნომრით, რომელიც ბათუმში შავი ზღვის სანაპიროზე შენდება და მსოფლიოში სასტუმრო ნომრების რაოდენობის მხრივ მე-6 ადგილს იკავებს. ამ პროექტმა პანამაში „2016 წლის მსოფლიოს საუკეთესო საინვესტიციო პროექტის“ ტიტული მიიღო და კომპანია „ორბი ჯგუფს“ „ოსკარი“ გადაეცა უძრავი ქონების სფეროში.

– „ორბი ჯგუფმა“ ბათუმში მსოფლიოს მნიშვნელობის პროექტის შენებლობა დაიწყო. რას ნიშნავს მსოფლიოში სიდიდით მე-6 სასტუმრო კომპლექსის შენებლობა კომპანიისთვის და როგორია მსოფლიოს პირველი ათეული?

- მსოფლიოს პირველი ათეული ასე გამოიყურება:
1. ლას-ვეგასი - The Palazzo Resort Hotel & Casino - 8108 ნომერი;
  2. მოსკოვი - იმპალიოვოს სასტუმრო კომპლექსი - 7500 ნომერი;
  3. ლას ვეგასი - The Signature at MGM Grand - 6772 ნომერი;
  4. მალაიზია - First World Hotel - 6118 ნომერი;
  5. ლას-ვეგასი - Encore Las Vegas - 4570 ნომერი;
  6. ბათუმი - „ORBI Twin Tower“ - 4 500 ნომერი;
  7. ლას-ვეგასი - Luxor Hotel&Casino - 4 400 ნომერი;
  8. ლას ვეგასი - Mandalay bay - 4337 ნომერი;
  9. ტალიანდი - Ambassador City - 4210 ნომერი;
  10. ლას ვეგასი - The Venetian - 4027 ნომერი;

„ორბი ჯგუფი“ - სათვის ძალიან საამაყოა ის ფაქტი, რომ სასტუმრო ნომრების რაოდენობის მხრივ მსოფლიოში სიდიდით მე-6 სასტუმრო კომპლექსის შენებლობა დაიწყო. ეს პროექტი სცილდება რეგიონულ მნიშვნელობას და კომპანიას და ბათუმს, როგორც ტურისტულ ქალაქს მსოფლიოში სხვა დატვირთვას ანიჭებს. „ორბი თვინ თაუერსი“ შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჩვენი ვებ გვერდზე: [www.orbigroup.net](http://www.orbigroup.net)

– ბატონო ირაკლი, თქვენ ახლახანს დაბრუნდით პანამიდან, სადაც „ორბი ჯგუფის“ პროექტმა „ორბი თვინ თაუერსი“, მსოფლიო დონის აღიარება მიიღო. რამდენად მნიშვნელოვანია FIABCI Prix d'Excellence ქვეყნისთვის?

– კარგი შეკითხვაა. როდესაც კომპანიის მიერ წარდგენილ პროექტს მსოფლიოში საუკეთესო საინვესტიციო პროექტად აღიარებენ, როგორც ეს მოხდა „ორბი თვინ თაუერსის“ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ კომპანიის გამარჯვება არ არის, ეს ქვეყნის გამარჯვებაცაა. რაც შეეხება თავად FIABCI Prix d'Excellence, ის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა. ეს იგივე „ოსკარია“. მსოფლიოში ამაზე დიდი ჯილდო უძრავი ქონების სფეროში არ არსებობს. ფიბსი, უძრავი ქონების საერთაშორისო ფედერაციაა, რომელიც პარიზში, 1948 წელს ევროპის, ამერიკის წამყვანმა დეველოპერებმა და უძრავი ქონების სპეციალისტებმა დააფუძნეს. 1954 წელს ფიბსის მიენიჭა, ვაეროს სოციალურ-ეკონომიკურ საბჭოში, ოფიციალური კონსულტანტის სტატუსი. ეს ერთადერთი ორგანიზაციაა უძრავი ქონების სფეროში, რომელიც ვაეროს ტრიბუნაზე სიტყვით გამოდიოდა. ფიბსის პარიზ ექსპლენსის მფლობელები, სხვადასხვა დროში გახდნენ ისეთი პროექტები, როგორც: ცა-ტრამ-თაუერის ნიუ იორკში, გულენკეიმის მუზეუმი ბილბაოში, პეტრონასის თაუერი კულა-ლუმპურში, პარიზის დისნეი ლენდი, მილენიუმ პარკი ჩიკაგოში, REPUBLIK PLAZA - სინაპურში, THE PALACE - ტაივანში, SINAR MAS LAND PLAZA - ინდონეზიაში, NORTHWEST BUSINESS PARK - სიდნეიში და ბევრი სხვა ცნობილი არქიტექტურული და უძრავი ქონების წარმატებული პროექტი. ეს ჯილდო იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ყველა ეს კომპანია ამით ამაყობს და ეს აღიარება გახდა ამ კომპანიების წარმატების მნიშვნელოვანი საფუძველი. გარდა „ორბი ჯგუფისა“, ამ დრომდე აღნიშნული პრიზის მოპოვება



ირაკლი ხვაჩავა

მოეძენები, სამედიცინო ცენტრი, და ა.შ. შესაკუთრებ არ არის შეზღუდული იცხოვროს საკუთარ აპარტამენტში. ის თავადვე განსაზღვრავს როდის გამოიყენებს აპარტამენტს ცხოვრებისათვის, როდის დასვენებისთვის, როდის მოახდენს მის გაქირავებას. შესაკუთრის სურვილის შემთხვევაში „ორბი ჯგუფი“ უზრუნველყოფს აპარტამენტის გაქირავებას, რითაც აპარტამენტის მფლობელს სტაბილური შემოსავლის წყარო უზრუნველდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მრავალფუნქციურ სასტუმრო კომპლექსში 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს დონის ინფრასტრუქტურის და მომსახურების არსებობა ძალიან დიდ მოთხოვნას აჩენს მის დაქირავებაზე და ეს გარემოება იძლევა ამ აპარტამენტების მაღალ ფასად და მაღალი დატვირთვით გაქირავების შესაძლებლობას.

– ძალიან საინტერესოა - როგორ შეიძლება დაინტერესებულმა პირმა შეიძინოს აპარტამენტები „ორბი თვინ თაუერსი“, რა პირობებით და რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მას ამ შენაძენიდან?

– „ორბი თვინ თაუერსი“ უნიკალური არქიტექტურა და ადგილმდებარეობა

აქვს, იგი ზღვიდან 50 მეტრში, მოცუვავე შენობებთან შენდება. ამასთან, ყველა აპარტამენტს შესანიშნავი ზღვის ხედი აქვს.

„ორბი თვინ თაუერსი“ აქციაა, ასეთია „ორბი ჯგუფის“ ტრადიცია ყველა პროექტის დაწყების დროს. შესაბამისად, აქციის პერიოდში საუკეთესო ფასად არის შესაძლებელი აპარტამენტების შეძენა. აქციის ფარგლებში, რომელიც 2016 წლის 1 სექტემბრამდე გრძელდება, „ორბი თვინ თაუერსი“ აპარტამენტის ღირებულება 17 500 აშშ დოლარია. პირველადი შენაძენი 1 700 აშშ დოლარია, ხოლო ყოველთვიური შენაძენი 250 აშშ დოლარს შეადგენს. მყიდველს შეუძლია აპარტამენტები იტალიური ავეჯით, ევროპული სტანდარტის აპარტამენტები და ტექნიკით შეიძინოს.

კომპლექსში არსებობს, როგორც სტანდარტული, ასევე ლუქსის და უფრო მაღალი სტანდარტის აპარტამენტები. არის ისეთი ტიპის აპარტამენტებიც, სადაც თითოეული აპარტამენტის ღირებულება ზუთასი ათას, ერთ მილიონ და მილიონზე მეტი აშშ დოლარსაც აღწევს.

რაც შეეხება სარგებელს შენაძენიდან მიიღებ, აღვნიშნო, რომ უძრავი ქონების შეძენისას, ინვესტირებისას ორი ძირითადი ფაქტორია გასათვალისწინებელი: 1. რა სტაბილური შემოსავალი მოგცემს შეძენილი უძრავი ქონების გაქირავება.

2. როგორ გაიზრდება შეძენილი უძრავი ქონებაზე ფასი, შეძენის შემდეგ.

სტანდარტული აპარტამენტის გაქირავების შედეგად ყოველწლიური სტაბილური შემოსავალი საორიენტაციოდ 5-6 ათასი აშშ დოლარია. რაც შეეხება შეძენილი აპარტამენტის ფასის ზრდას მშენებლობის დაწყებიდან მშენებლობის დასრულებამდე - აპარტამენტის ღირებულება, მინიმუმ 2-ჯერ იზრდება. „ორბი თვინ თაუერსის“ მშენებლობის ხანგრძლივობა 24 თვეს შეადგენს

– „ორბი თვინ თაუერსი“, 2016 წლის მსოფლიოს საუკეთესო საინვესტიციო პროექტად იქნა აღიარებული. ზღვიდან 50-მეტრში, ბათუმში, საუკეთესო ადგილზე შენდება, კომპლექსში 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს დონის ინფრასტრუქტურა, ხელმისაწვდომი ფასი და ძალიან მოქნილი გადახდის სისტემა. ძალიან მომხიბვლელი პირობებია და

გვექრობ, რომ საკმაოდ დიდი იქნება დაინტერესება. რამდენად აქტიურად ყიდულობენ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები აპარტამენტებს თქვენს პროექტებში და როგორია ქვეყნის გარეთ გაყიდვების დინამიკა?

– „ორბი ჯგუფმა“ შეძლო შეექმნა ისეთი პროექტი, რომელიც საინტერესო იქნებოდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის. სწორედ ამიტომ, „ორბი ჯგუფის“ დღეისთვის მსოფლიოს 7 ქვეყანაში 30-მდე ოფისი აქვს, 2016 წლის ბოლომდე კი, უცხოეთში დამატებით გაიხსნება კომპანიის კიდევ 50 წარმომადგენლობა.

„ორბი ჯგუფის“ მრავალფუნქციურ სასტუმრო კომპლექსებში შეძენილი აპარტამენტის მხოლოდ უძრავი ქონება არაა, ის ბიზნესი და სტაბილური შემოსავლის წყაროა. „ორბი ჯგუფში“ აპარტამენტის შეძენის ძალიან მოქნილი და მარტივი სისტემაა, შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები პირებისთვისაც, ვისაც პირველადი შენაძენის სახით 1 700 აშშ დოლარის შესაძლებლობა აქვს, ხოლო ყოველთვიურად 250 დოლარამდე გადაიხდის, „ორბი ჯგუფში“ აპარტამენტის შექმნა შეუძლია. ამის გათვალისწინებით, ჩვენი თანამოქალაქეები საკმაოდ აქტიურად გამოიჩინებიან და შესაბამისად, მყიდველებიც ბევრი გვაყავს, როგორც ქალაქებიდან, ისე საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან.

გარდა ამისა, ბევრია შემთხვევა, როცა საქართველოდან წასული პირები ყიდულობენ აპარტამენტებს იმ მიზნით, რომ საქართველოში მცხოვრებ მშობლებს, ოჯახის სხვა წევრებს, სტაბილური შემოსავლის წყარო გაუჩინონ. ამასთან, დასვენების პერიოდში აპარტამენტებში თავადაც ისვენებენ.

აპარტამენტები საინტერესოა იმ პირთათვის, ვინც დაქირავებული მუშაობს, მუშაობს პროფესიონალითა: იურისტები, ბუღალტრები, აუდიტორები, ექიმები და ა.შ.) და ბიზნესის დამოუკიდებლად წარმოების შესაძლებლობა არ გააჩნიათ, მოქნილი გადახდის პირობებით აპარტამენტების შექმნით, სტაბილური შემოსავლის წყაროს იჩენენ და არც მათ პროფესიულ საქმიანობაში ეშლებათ ხელი. როგორც აღვნიშნე, გაქირავებას და აპარტამენტის ოპერირებას „ორბი ჯგუფი“ უზრუნველყოფს და მყიდველს საკუთარ ანგარიშზე ყოველთვიურად ერიცხება გაქირავებულნი მიღებული თანხა.

დაინტერესება ძალიან მაღალია ქვეყნის გარეთაც, ისეთ ქვეყნებში, როგორც: გერმანია, პოლონეთი, რუსეთი, უკრაინა, ლატვია, ლიტვა, ყაზახეთი, ბელარუსი, ისრაელი, ამერიკა, ლუბია, ყატარი და ა.შ.

მას შემდეგ, რაც „ორბი თვინ თაუერსი“ 2016 წლის მსოფლიოს საუკეთესო საინვესტიციო პროექტად იქნა აღიარებული, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა დაინტერესება უცხოეთში. დღეის მდგომარეობით მსოფლიოს 35 ქვეყნიდან გვაყავს მყიდველი.

– თუ შეგიძლიათ გვიამბეთ „ორბი ჯგუფის“ სამომავლო გეგმების შესახებ?

– „ორბი ჯგუფი“ ახლო მომავალში თბილისში იწყებს მასშტაბურ პროექტს. გარდა ამისა, „ორბი ჯგუფი“ პირველი იქნება ქართულ კომპანიებს შორის, რომელიც მომავალი წლიდან ქვეყნის გარეთ დაიწყებს რამდენიმე პროექტის განხორციელებას. კომპანია, ბევრი სხვა, ახალი პროექტისა და მიმართულებების განვითარებას გეგმავს.

– კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ „ორბი თვინ თაუერსის“ მსოფლიო აღიარება. მაღლობს გიხდით ინტერესის და წარმატებებს გისურვებთ. ამასთან, გთხოვთ გვითხრათ როგორ დაუკავშირდნენ კომპანიის აპარტამენტების შეძენის მსურველები?

– ტელეფონი: 0 800 100 115; ზარი უფასოა; +995 555 33 00 00, +995 555 32 00 00, +995 555 35 00 00; ვებ გვერდი: [www.orbigroup.net](http://www.orbigroup.net) ელ. ფოსტა - [batumi@orbi.ge](mailto:batumi@orbi.ge)

FIABCI Prix d'Excellence Award  
ორბი ჯგუფის-ს მსოფლიო აღიარება!

ორბი ჯგუფი  
ORBI GROUP

AKЦИЯ!  
17 500 \$

+995 555 32 00 00  
[www.orbigroup.net](http://www.orbigroup.net)